3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი საღვთოქებით დახმარება. დახმარების მოთხოვნილი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშგაქტურას ავთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად მომზადდება 40 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.

4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა დახმარება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება ჰიგიენური საფენებით	30.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება სველი საღვთეულებით	5.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	.			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	75	100	არამომართვიანობა

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 08)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	293.8			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საქალაქო ტრანსპორტით, ავტობუსით: №1 წრიული (მარცხენა), №1 წრიული (მარჯვენა), №4, №5, №10, №19, №20, №22, №25, №31 – სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ბენეფიციარები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის კოდი: 100, 111, 112, 113), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად შშმ პირები (კოდი: 311, 312, 313), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრები (კოდი: 501), „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონრები (100 ბენეფიციარი), „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, „SOS“-ბავშვთა სოფლის ბენეფიციარები, სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავმსაფარის) ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ბენეფიციარები. სულ 1000 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების გამოყენებით, ბილეთის ფასი 40 თეთრი. ბილეთის გამოყენება შეიძლება სამგზავრო მოწმობასთან ერთად. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამგზავრო მოწმობის მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტინგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება სამსახურის გადაწყვეტილებით. ბენეფიციარებზე გაიცემა თითოეულზე თვეში 60 (სამოცი) ბილეთი (ბილეთის მისაღებად აუცილებელია ბენეფიციარმა წარმოადგინოს უფასო მგზავრობის მოწმობა). ქვეპროგრამაზე მომსახურე გადამზიდვეებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მოსარგებლე პირთა კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა. სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების დამზადება, გაცემა, საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა	180		
		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება	113.8		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	994	1000	არამომართვიანობა

ბ.ი) ქვეპროგრამა: უფასო კვება (პროგრამული კოდი 06 02 09)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	663.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საკვების ხელმისაწვდომობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციული ხარჯი	233.0		
		კვების ხარჯები	430.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ააიპ „მადლიერების სახლი“ მოსიარულე ბენეფიციართა რაოდენობა	800	800	

ბ.კ) ქვეპროგრამა: კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	27.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0–18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემართებელი სადენის ღირებულება – 150 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე ვაუჩერის საშუალებით, ვაუჩერი გაიცემა თვეში ერთხელ ელემენტის ღირებულების ანაზღაურებისა და ექვს თვეში ერთხელ პროცესორისა და მიკროფონის შემართებელი სადენის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე. მომსახურება ანაზღაურდება სამუშაოს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით მომართვის თვითადას. 18 წლის შესრულების შემთხვევაში დახმარება შეწყდება ასაკის შესრულებიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიღებმა უნდა წარმოადგინოს: ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის			

		პირადობის მოწმობა; ბ) არასრულწლოვნის დაბადების მოწმობა; გ) არასრულწლოვნის ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი; დ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა №100 და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 0–18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების დახმარება, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენის თვალსაზრისით	21.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 0–18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების დახმარება, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შეძენის თვალსაზრისით	6.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	10	18	არამომართვიანობა

ბ.ლ) ქვეპროგრამა: ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 11)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	25.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებული 0–დან 18 წლამდე ასაკის პირები. პროგრამით მოსარგებლე პირებს დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მოთხოვნელი განცხადებასთან ერთად წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ავადმყოფის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ფორმა №100–ს, ლარის ანგარიშის რეკვიზიტებს ბანკიდან.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	25.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	19	20	არამომართვიანობა

ბ.მ) ქვეპროგრამა: შინმოვლა (პროგრამული კოდი 06 02 12)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	25.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, „შინმოვლის“ პროგრამით სარგებლობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან საწოლს, ან სახლს და საჭიროებენ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ მომსახურებას საცხოვრებელ ადგილზე. სავალდებულოა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი რეგისტრირებული იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენდეს არაუმეტეს 100000-ს. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. საწოლს მიჯაჭვული ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ ძირეული მოვლისა და სამედიცინო მანიპულაციების თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების გარკვეულ ნაწილს ბინაზე მიეწოდება ცხელი სადილი, საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით, ჰიგიენური მოვლის საშუალებებით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალური პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ბენეფიციართა დახმარება		25.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	57	60	არამომართვიანობა

ბ.ნ) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის მშენებლობა (პროგრამული კოდი 06 02 13)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	214.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში საბინაო ფონდის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდა სოციალურ სფეროში არსებული საკითხების მოგვარების კუთხით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საბინაო ფონდის შექმნა თვითმმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს. 2017 წელს მოხდა აღნიშნული საცხოვრისის შექმნა და უსახლკაროებზე გადაცემა. 2019 წელს განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი თანხის ანაზღაურება.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალური პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური საცხოვრისის მშენებლობა		214.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებული ბენეფიციარები			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ბენეფიციართა რაოდენობა	78	85	

ბ.ო) ქვეპროგრამა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 14)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	340.5
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 2–15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD–10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“, „F84.9“), სარეაბილიტაციო მომსახურებას. პროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში, ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS“ ტესტირების შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ბავშვის მოტორობის, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის – რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქვევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, ბენეფიციარისათვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს, 20 ინდივიდუალური სესიისა (მათ შორის, გამოყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), ქვეპროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სესიის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ, 1 საათს, ქვეპროგრამის ფარგლებში, წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოსყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპიის სესიის მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ, 14 სესიი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20–ზე ნაკლები სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, სესიების ოდენობის არანაკლებ 3/4, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება (მათ შორის, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება) და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფ იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი, ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, გ) ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი), დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV–100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს, 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS“ ტესტირების შედეგი; ამათთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV–100/ა). ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მიმწოდებელთან, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ახალი მოსარგებლის ჩართვა ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი). ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა რეგმი/სიაში მყოფ სოციალურ დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000–ს, ასევე, იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განმახორციელებელს განცხადებით. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე 420 ლარის ოდენობით. 6 თვეში ერთხელ მომსახურების მიმწოდებელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგენენ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით (მ.შ. „ABLLS–R“, „VB–MAPP“ და სხვა) შეფასების შედეგებს. მიმწოდებლის მიერ, შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, შემდეგი ფორმის მიხედვით: ინფორმაცია ბენეფიციარების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი); ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ (ქვევის გამოყენებითი ანალიზის, მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპიის კურსის თვეში ჩატარებული სესიების რაოდენობისა და ასანაზღაურებელი თანხის თაობაზე). ინფორმაცია ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის შესახებ. ანგარიშ–ფაქტურა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ</p>

		<p>კრიტერიუმებს: ა) ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 1 წლიანი გამოცდილება. ბ) ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის – ნევროლოგის, ფსიქიატრის, ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, სპეციალური პედაგოგის, ქვევითი თერაპევტის, მეტყველების თერაპევტის და სხვათა ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; გ) ჰყავდეს ქვევითი თერაპევტი (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი. ამასთან, თუ ქვევითი თერაპევტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს მას ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა ჰყავდეს 10 მოსარგებლე), რომელიც არის ზავშვის ქვევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში (სპეციალური პედაგოგი, პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი) და გავლილი აქვს გამოყენებითი ქვევითი ანალიზის ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქვევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების, სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება; დ) აუცილებელია, ყოველ 5 ქვევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქვევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), ამასთან, თუ სუპერვაიზერი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს ის ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობას უნდა უწევდეს 5 ქვევით თერაპევტს და შესაბამისად, არაუმეტეს 50 ბენეფიციარს უნდა მართავდეს), რომელსაც შეუძლია: ზავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: „ABLLS“, „VB-MAPP“ და სხვა), ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა, აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება, სრულად აქვს გავლილი გამოყენებითი ქვევითი ანალიზის საერთაშორისო კურსი, ან მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით; ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად); ვ) ჯგუფური სეანსის შემთხვევაში, ჯგუფში მოსარგებლებების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი არაუმეტეს, 4 ჯგუფური თერაპიის თვეში.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ბენეფიციართა დახმარება	340.5		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	53	60	არამომართვიანობა

ბ.კ) ქვეპროგრამა: შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 15)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	25.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რელიზებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. ამასთან, კიდევ უფრო ეფექტური იქნება ასეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და თავად შშმ პირთა ჩართულობით. გამომდინარე აქედან, წინამდებარე პროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. ამასთან, წარმოდგენილი პროექტები დაფინანსებისათვის /თანადაფინანსებისათვის შეირჩევა კონკურსის წესის შესაბამისად. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ ფიზიკურ და შშმ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.</p>

4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებისათვის /თანადაფინანსებისათვის შერჩევა, კონკურსის წესის შესაბამისად			25.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2	4	არამომართვიანობა

ბ.ჟ) ქვეპროგრამა: შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 06 02 16)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	18.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/ თანადაფინანსება. 2019 წლის განმავლობაში დაფინანსება /თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშგაქტურებისა და ქვითრების შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, დეკემბერი) თვეში, არაუმეტეს, 2400 ლარისა, ხოლო დანარჩენ თვეებში, თვეში არაუმეტეს 1200 ლარისა, რომელიც თანაბრად გადანაწილდება დაფინანსების მოხონებულ ორგანიზაციებზე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა			18.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფუნქციონირებადი ორგანიზაციები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციათა რაოდენობა	5	8	არამომართვიანობა

ბ.რ) ქვეპროგრამა: მარტოხელა მშობელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10.0			

3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტროენერჯის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 30 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად 12 ლარის ოდენობით; ბუნებრივი აირის გადასახადის ანაზღაურება ოჯახზე მოხდება ყოველთვიურად – 15 ლარის, წყლის გადასახადის ღირებულება ოჯახზე განისაზღვრება 3 ლარის ოდენობით. მოხმარებული გადასახადების ღირებულების ანაზღაურება (თანადაფინანსება) მოხდება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით. სოციალურად დაუცველი ოჯახის შემთხვევაში, ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება განისაზღვრება მხოლოდ „მარტოხელა მშობელთა დახმარების“ პროგრამის შესაბამისად. პროგრამის ბენეფიციარებს განეკუთვნება, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი/შვილები და არ იმყოფება ქორწინებაში. ბენეფიციართა იდენტიფიცირება მოხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი), ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობები (ასლები), კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, ბუნებრივი აირი) ქვითრები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება – მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ და ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ (ცნობის განახლება მოხდება 6 თვეში ერთხელ), საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მარტოხელა მშობლების ყოფილი პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მარტოხელა მშობლების დახმარება	10.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	25	50	არამომართვიანობა

ბ.ს) ქვეპროგრამა: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 18)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ, რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით. სსიპ ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულმა ერთეულმა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებმა, ბენეფიციარის თავშესაფრის დატოვებამდე სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა წარუდგინონ მომართვა და დასკვნა-რეკომენდაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადების მითითებით. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება პირის/ოჯახის პროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, არაუმეტეს 1 წლისა. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირის, თავშესაფრის დატოვების შემდეგ, მატერიალური დახმარება	10.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	10	არამომართვიანობა

ბ.ტ) ქვეპროგრამა: საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 19)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	40.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე დაფინანსდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტები: ა) დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში, დაფინანსდება/თანადაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება, ბ) სოციალური საცხოვრისის პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდება/ თანადაფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი ახალგაზრდების კვება, ჰიგიენური საშუალებებითა და სხვა საჭიროებებით მომსახურება. დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას სამსახურის მოთხოვნით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მშობლებისათვის სამუშაო დროის გამოათვისუფლება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში, დაფინანსდება/თანადაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება	27.5		
		სოციალური საცხოვრისის პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდება/თანადაფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი ახალგაზრდების კვება, ჰიგიენური საშუალებებითა და სხვა საჭიროებებით მომსახურება	12.5		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	20	20	არამომართვიანობა

ბ.უ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 20)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	7.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე, ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. სმენის აპარატით მოსარგებლე სტუდენტებს დახმარება გაეწევათ, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში 95 ლარის ოდენობით. მომსახურება ანაზღაურდება სამუშაოს შემსრულებლის მიერ, წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, გადაადგილების პრობლემის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების, ტრანსპორტირების ხარჯი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, 10 თვის განმავლობაში. თითოეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა, თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის, ან მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით მომართვის თვითა და დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიღებამ უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა, ბ) ცნობა–სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №100), გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი, დ) ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან, ე) ლარის ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება შეუწყდება სტუდენტის სტატუსის შექერების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების მიზნით დახმარება	6.0		
		ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სმენის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენა	1.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	3	6	არამომართვიანობა

ბ.ფ) ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 02 22)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. ოჯახის შეფასება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლის მიერ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდება ოჯახის საჭიროების დადგენა. დასკვნა – რეკომენდაციას შემდგომი რეაგირების მიზნით, განიხილავს სამუშაო ჯგუფი. მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმისწარმოებას დაიწყებს მუნიციპალიტეტი. საკითხს შესწავლის შემდეგ განიხილავს სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, „SOS ბავშვთა სოფლის, „World Vision“			

		საქართველოს, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასისა“ და „INER Georgia“-ს წარმომადგენლების მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. განცხადების შესწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება მოხდება არაუგვიანეს, 5 სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება საჭიროებისამებრ, თვეში არანაკლებ ერთხელ. ოჯახს, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე დახმარების სერვისს შესთავაზებს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი სამსახურები. გადაუდებელი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ჩართულობა განისაზღვრება მატერიალური დახმარების კუთხით, თითოეულ შემთხვევაზე არაუმეტეს, 1000 ლარი.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების დახმარების საკითხი, რომლებსაც არასრულწლოვანი ბავშვი/ბავშვები ჰყავთ და საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას. პილოტირებული ინიციატივის ფარგლებში, საკითხს შეისწავლის „World Vision“ საქართველოს ბაზაზე არსებული რეაგირების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნა – რეკომენდაციას, შემდგომი რეაგირების მიზნით, განიხილავს სამუშაო ჯგუფი	30.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს, რომელსაც არ ჰყავს არასრულწლოვანი, დახმარების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრი/წევრები იმყოფებიან კრიზისულ მდგომარეობაში და საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	50	არამომართვიანობა

ბ.ქ) ქვეპროგრამა: მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (წულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 23)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5.5			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (წულოვანი მხედველობის) მქონე პირების სამედიცინო და სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებებში დამოუკიდებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალური ასისტენტის (გამცილებლის) და ოპერატორის მომსახურება. პერსონალური ასისტენტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით, ოპერატორის შრომის ანაზღაურება 50 (ორმოცდაათი) ლარით, თვეში არანაკლებ 20 (ოცი) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში. მომსახურება ანაზღაურდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (წულოვანი მხედველობის) მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	თვის განმავლობაში არანაკლებ 20 (ოცი) გაცილების განხორციელების შემთხვევაში პერსონალური ასისტენტის მომსახურება ანაზღაურდება 500 ლარით, ოპერატორის მომსახურება 50 ლარით	5.5		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	50	არამომართვიანობა

6. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 07 00): ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობას, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიორების დაინტერესებას ქალაქის მიმართ; ქუთაისის, რეგიონის ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, გენერალური განვითარების გეგმის ცალკეული კომპონენტების მომზადებას, მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას.

ა) პროგრამა: თვითმმართველობის ქონების რეგისტრაცია, დაცვა და ბალანსზე აყვანა (პროგრამული კოდი 07 01)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	20.0			
3.	პროგრამის აღწერა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა – ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის, ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.			
4.	პროგრამის მიზანი	მუნიციპალური ქონების დაცვა, დამატებითი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია			
5.	პროგრამის ღონისძიებები	უმრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია	8.0		
		მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრა	12.0		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეგისტრირებული მუნიციპალური ქონების რაოდენობა	57	70	
		მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონების ერთეულზე გაწეული საექსპერტო მომსახურებისა და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრის რაოდენობა	74	100	

ბ) პროგრამა: ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 07 02)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	100.0			
3.	პროგრამის აღწერა	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო დავალების მომზადება ქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების მიზნით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს დასახლების მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილებს. გეგმების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია დასახლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ზოგადი პრინციპები, რომლებიც საჭიროებისამებრ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმებში.			
4.	პროგრამის მიზანი	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისათვის საპროექტო დავალებების შემუშავება შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ქალაქში არსებული ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეებიდან შესაბამისი ინფორმაციების მოპოვება საყრდენი გეგმის მომზადებისათვის	100.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიწათსარგებლობის გენერალური და განაშენიანების რეგულირების გეგმების დოკუმენტების შექმნა და შესაბამისი წესით მათი დამტკიცება სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ქალაქის გენერალური გეგმის საბოლოო დოკუმენტის შექმნისათვის მიმდინარე დოკუმენტების ერთობლიობა	1	2	კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციის გამოვლენა

გ) პროგრამა: ეკონომიკის სტიმულირება და ბიზნესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 03)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური		
2.	პროგრამის ბიუჯეტი	5.0		
3.	პროგრამის აღწერა	საინვესტიციო პორტფოლიოს მომზადება, ქუთაისის ეკონომიკური პოტენციალისა და ქალაქში/რეგიონში წარმოებული პროდუქციის/მწარმოებლის პოპულარიზაცია, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და პოპულარიზაცია.		
4.	პროგრამის მიზანი	ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს მომზადება, ქალაქში/რეგიონში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოყენება-გაყიდვა, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის პროექტის განხორციელება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება		
5.	პროგრამის ღონისძიებები	ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს მომზადება	1.5	
		მიგრაციის პოტენციალის გამოყენება ადგილობრივი განვითარების დაჩქარებისთვის	1.5	
		საკონსულტაციო სერვისის განხორციელება ადგილობრივი ბიზნესისათვის	0.5	
		ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და პოპულარიზაცია	1.5	

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამოკვლევული იქნება ეკონომიკის რამოდენიმე დარგი და მომზადდება ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიო, ქალაქში/ქვეყანაში ორგანიზებული იქნება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, განხორციელდება ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა	0	1	
		გამართული გამოფენა –ბაზრობების, ეკონომიკური ფორუმების, კონფერენციების რაოდენობა	1	1	
		განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტისა და ღონისძიებების რაოდენობა	3	3	
		გამოცდილების გაზიარებისათვის საქმიანი ვიზიტების რაოდენობა	0	1	
		ადგილობრივი ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა	3	3	

დ) პროგრამა: ააიპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ (პროგრამული კოდი 07 04)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქუთაისის ტურიზმის ცენტრი“			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	710.8			
3.	პროგრამის აღწერა	ქუთაისში არის ტურისტული ჰაბი, სადაც მზარდია ტურისტთა რაოდენობა, რაც აუცილებელს ხდის ტურიზმის ცენტრის ფუნქციონირებას			
4.	პროგრამის მიზანი	ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ტურისტული ცენტრის ფუნქციონირება	430.8		
		საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება	120.0		
		ბრენდინგი	50.0		
		მედია და ინფო ტურების განხორციელება	110.0		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ტურისტების რაოდენობის ზრდა			

7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა	12	15	
		ჩატარებული გამოფენების რაოდენობა	10	10	
		ტურისტების რაოდენობა	20000	30000	

თ ა ვ ი IV

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

№	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები	60449.5	58517.5	74295.9	16335.7	57960.2
0	მომუშავეთა რიცხოვნობა	352.0	352.0	354.0	0.0	354.0
2	ხარჯები	47769.8	46421.4	53888.4	4134.7	49753.7
21	შრომის ანაზღაურება	3960.9	4442.0	24597.1	0.0	24597.1
22	საქონელი და მომსახურება	8903.9	5322.9	16489.3	0.0	16489.3
24	პროცენტი	619.0	484.1	412.0	0.0	412.0
25	სუბსიდიები	26443.5	29693.8	2258.5	0.0	2258.5
26	გრანტები	692.0	168.0	55.0	0.0	55.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	3027.4	3620.5	3959.8	113.8	3846.0
28	სხვა ხარჯები	4123.1	2690.1	6116.7	4020.9	2095.8
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	11254.4	11789.2	19933.5	12201.0	7732.5
32	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
33	ვალდებულებების კლება	1425.3	306.9	474.0	0.0	474.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7385.1	8275.8	9520.7	0.0	9520.7
0	მომუშავეთა რიცხოვნობა	352.0	352.0	354.0	0.0	354.0
